საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>დიმიტრი გვრიტიშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიორგი გოგიაშვილი?	
(დიახ)	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 17 ივნისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გიორგი გოგიაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გიორგი გოგიაშვილმა.

კანდიდატთა შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 28 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე ყველა, 33 კანდიდატი, მათ შორის - გიორგი გოგიაშვილი, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 92 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 92%-ს შეადგენს.

საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

მითითებული განკარგულება გასაჩივრდა ერთ-ერთი კანდიდატის - ირაკლი ქსოვრელის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში; თუმცა, პალატის 2021 წლის 14 ივნისის №სსკ-01-21 გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი.

შესაბამისად, ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ 9 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რომლის შედეგად მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს

პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს გიორგი გოგიაშვილის კანდიდატურა, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით გავიდა 1-ლ ადგილზე. ამდენად, როგორც აღმოჩნდა, გიორგი გოგიაშვილი, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს სხვა წევრებმაც, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დიმიტრი გვრიტიშვილი